

სპორტის საგნის საგამოცდო ტესტის შეფასების სქემა - 2025 წელი

დავალება 1. - 27. თოთოეული დავალების სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით.

- | | |
|-------|-------|
| 1. გ | 15. გ |
| 2. დ | 16. ბ |
| 3. გ | 17. ა |
| 4. დ | 18. გ |
| 5. ა | 19. დ |
| 6. გ | 20. ბ |
| 7. ბ | 21. დ |
| 8. დ | 22. ა |
| 9. გ | 23. დ |
| 10. ბ | 24. ბ |
| 11. ა | 25. ა |
| 12. დ | 26. დ |
| 13. ბ | 27. გ |
| 14. ა | |

ღია დავალებები 28. – 32.

დავალება 28.

დავალების თითო სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით, სულ 4 ქულა.

დავალების პირველ კითხვაში, აპლიკანტს მოეთხოვება სურათებზე წარმოდგენილი ოთხი ვარჯიშიდან შეარჩიოს ვარჯიშის რომელი ორი ვარიანტი არ არის სწორი
სწორი პასუხი - N 2-3 სურათზე წარმოდგენილი ვარჯიშების შესრულების ვარიანტები არ არის სწორი

დავალების მეორე კითხვაში, აპლიკანტს მოეთხოვება ჩაწეროს სხეულის ნებისმიერი 2 ნაწილი, რომლის დაზიანებაც შეიძლება გამოვლინდეს, მითითებულ ასაკში, აღნიშნული ვარჯიშების არასწორად შესრულების დროს.

სწორი პასუხების ვარიანტები: ვარჯიშის არასწორად შესრულების დროს, შეიძლება დაზიანდეს ამ ასაკისთვის ყველაზე სუსტად განვითარებული ანატომიური ნაწილები, რომლებსაც ეყრდნობა სხეული და რომლებზეც მოდის ძირითადი დატვირთვა: **მაჯა, იდაყვი, კოჭი, ტერფი.**

დავალება 29.

დავალების თითო სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით, სულ 3 ქულა.

აპლიკანტს მოეთხოვება ჩაწეროს ცხრილში ფიზიკური თვისების **სწრაფუნარიანობის განვითარების 3 ძირითადი მეთოდი.**

(სწორდება მხოლოდ პირველი 3 პასუხი)

სწორი პასუხები:

1. ზუსტად რეგლამენტირებული ვარჯიშობის მეთოდი
2. შეჯიბრებითი მეთოდი
3. თამაშობითი მეთოდი

დავალება 30.

დავალების თითო სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით, სულ 3 ქულა.

აპლიკანტს მოეთხოვება ჩაწეროს **საუბრის ტესტის გამოყენებით მსუბუქ, საშუალო და ძლიერ ინტენსივობის ფიზიკური დატვირთვის შეაფასების 3 მეთოდი.**

(სწორდება მხოლოდ პირველი 3 პასუხი)

სწორი პასუხების ვარიანტები:

1. მსუბუქი დატვირთვა - ვარჯიშის პროცესში საუბრობს ჩვეულებრივ, ასევე შეუძლია იმდეროს
2. საშუალო დატვირთვა - ვარჯიშის პროცესში საუბრობს მცირე დაბრკოლებებით
3. ძლიერი დატვირთვა - ვარჯიშის დროს ვერ საუბრობს, ქოშინებს

დავალება 31.

დავალების თითო სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით, სულ 5 ქულა.

აპლიკანტს მოეთხოვება ჩაწეროს **5 საკვების დასახელება, რომლებიც მდიდარია მინერალ კალციუმით.**

(სწორდება მხოლოდ პირველი 5 პასუხი)

სწორი პასუხების ვარიანტები: რძე, ხაჭო, ყველი, მაწონი, ნადუდი, თევზი, კვერცხი, სეზამი, ბროკოლი, კომბოსტო და სხვ.

დავალება 32.

თითო სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით, სულ 4 ქულა.

აპლიკანტს მოეთხოვება ჩაწეროს ოთხი მოძრაობის დასახელება, რომლებიც მიეკუთვნება საყრდენ-მამოძრავებელ უნარებს.

(სწორდება მხოლოდ პირველი 4 პასუხი)

სწორი პასუხების ვარიანტები: სიარული, რბენა, ხტუნვით სიარული, განხტომი, წინხტომი, წინხტომი ფეხშლით, კოტრიალი და სხვ.

დავალება 33. – 36. „ჭეშმარიტია - მცდარია“.

სწორი პასუხი ფასდება 1 ან 2 ქულით.

დავალება - „მცდარია“- იმ შემთხვევაში თუ აპლიკანტს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი ფორმულირება მცდარია, მან უნდა მონიშნოს შესაბამისი უჯრა აღნიშვნით „მ“ (მცდარია) და შესაბამის არეში ჩაწეროს სწორი ფორმულირება.

თუ აპლიკანტმა აღნიშვნა გაკეთა სწორად, მაგრამ ფორმულირება არ ჩაწერა, დავალება ფასდება 1 ქულით.

იმ შემთხვევაში თუ აღნიშვნაც სწორია და ფორმულირებაც სწორად არის ჩაწერილი დავალება ფასდება 2 ქულით,

თუ აღნიშვნა გაკეთებულია სწორად, მაგრამ ფორმულირება არასწორია დავალება ფასდება 0 ქულით.

დავალება - „ჭეშმარიტია“ - აპლიკანტმა უნდა მონიშნოს შესაბამისი უჯრა აღნიშვნით „ჭ“ (ჭეშმარიტია), სწორი ფორმულირების ჩაწერა არ მოეთხოვება, ვინაიდან ეს ისედაც დავალების პირობაშია მოცემული. სწორი პასუხი ფასდება 2 ქულით. არასწორი პასუხი ფასდება 0 ქულით.

დავალება 33.

დავალებაში მოცემული დებულება მცდარია

სწორია შემდეგი განმარტება:

მოვარჯიშის სხეულის შემობრუნებას შვეული ღერძის გარშემო ეწოდება ბრუნა.

დავალება 34.

თუ მეორე კლასის მოსწავლეს გაწელვითი ვარჯიშის დროს სახსრის არეში განუვითარდა ტკივილის ძლიერი შეგრძნება, აუცილებელია სახსრის მიდამო კარგად დავზილოთ, გავახუროთ და გავაგრძელოთ ვარჯიში.

მცდარია

სწორია შემდეგი განმარტება:

არ არის რეკომენდებული სახსრის მიდამოს დაზეღვა და გახურება, ვარჯიში დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს

დავალება 35.

დავალებაში მოცემული დებულება ჭეშმარიტია.

დავალება 36.

დავალებაში მოცემული დებულება მცდარია

სწორია შემდეგი განმარტება:

ფიზიკური აქტივობა არის სხეულის ნებისმიერი მოძრაობა, რომელიც იყენებს ჩონჩხის კუნთის ენერგიას.

დავალება 37.- 40. შესაბამისობის დადგენა.

თითო სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით, სულ 4 ქულა.

აპლიკანტს მოეთხოვება შეუსაბამოს A სვეტში მოცემული პირობები B სვეტში მოცემულ სავარაუდო პასუხებს. ერთ პირობას მხოლოდ ერთი პასუხი შეესაბამება.

სწორი პასუხები:

დავალება 37.

დავალება 38

1 - დ

1 - ზ

2 - ვ

2 - დ

3 - ბ

3 - ზ

4 - ა

4 - ვ

დავალება 39

დავალება 40.

1 - ვ

1 - ბ

2 - გ

2 - დ

3 - დ

3 - გ

4 - ე

4 - ა